კვირა, 7 ივლისი 1913 წ. ფასი 5 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა მაშინ, როცა თანამშრომლები მასალებს გამოგზავნიან და გამომცემელი დაბეჭდავს. ადრესი: სტამბა „შრომა“. თ. ბოლქვაძეს.

ᲒᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲟᲘ.

ს. აბაშელი

(ბიოგრაფიული ცნობა)

„მათრახს„ რომ ᲣᲦᲠᲝᲝᲗ ფეხი არ გაეკიმა ჩვენ ერთი დიდი განძის შეტანა გვინდოდა ქართულ ლიტერატურაში. ჩვენ განზრახვა გვქონდა გაგვეცნო ქართველ საზოგადოებისთვის ყველა ჩვენი ახალგაზდა მწერლები, დაგვენახვებია მისთვის მათი სახის მოხაზულობა, აღგვეწერა მათი წარმოშობის ისტორია და აგვეწონა მათი ნაღვაწი. მაგრამ დრომ და გარემოებამ ხელი შეგვიშალა. დღეს, როდესაც „მათრახმა„ ერთხელ კიდევ გაშალა ფრთები, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ დავინახეთ მოგვეთავსებია ს. აბაშელის „ფთრეთი“, და დაგვეწერა მისი ბიოგრაფია. მით უმეტეს, რომ ეხლახან „თემი“-ს რედაქციამ გამოსცა მისი ლექსთა კრებული. ჩვენ წავიკითხეთ ამ კრებულში მოთავსებული მისი ბიოგრაფია და ძლიერ აღშფოთებული გახლავართ. იქ მკითხველი მხოლოდ იმას გაიგებს, რომ ს. აბაშელი ისაკ ჩოჩია ყოფილა, დაბადებული 1884 წელს. „კაპიტნობა„ მოუნდომებია, მაგრამ ვერ გამხდარა „კაპიტანათ“ და შემდეგ ლექსების წერა დაუწყია. ეს არის და ეს, იქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი აბაშელის წარმოშობის შესახებ, რომელმა ერმა წარმოშვა, ვინ იყო მისი მამა. რომელი უწინ დაიბადა და სხვა. ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ყველა ამ ნაკლის შევსება.

ᲯᲔᲠᲐᲪ გამოკვლეული არ არის ქათამი უწინ გაჩნდა თუ კვერცხი. ეგეევ ითქმის აბაშელის წარმოშობის შესახებ. ყველა ჩვენმა ისტორიკოსებმა თავები დაიმტვრიეს, ყველა ჩვენმა არქეოლოგებმა მთელი საქართველო გადათხარეს, რომ იქნება რაიმე სიძველის მიხედვით გამოეკვლიათ აბაშელი უწინ დაიბადა თუ განსვენებული მისი მამა, მაგრამ ერთ გარკვეულ აზრს ვერ დაადგენ. თუ მეცნიერულ გამოკვლევას დავემყარეთ, ეტვს გარეშეა მამა უწინ უნდა გაჩენილიყო და თვით აბაშელი შემდეგ, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ჩვენ მკვლევართ ამ ჭეშმარიტებაში ეტვი ეპარებათ. ჩვენ კი ღრმად დარწმუნებული ვართ აბაშელის მამა უწინ დაიბადა და თვით აბაშელი შემდეგ.

ვსთქვათ ეს ასეა, ის კი ᲯᲔᲠᲐᲪ სადაო კითხვა არის მეგრელია აბაშელი თუ არა, თ. ჟორდანიას გამოკვლევით აბაშა დასახლებულია ერთგვარ ხალხით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც თავიანთ თავს მეგრელებს უწოდებენ და მეგრულათ ლაპარაკობენ. თუ ეს ასეა და აბაშელი აბაშაში დაიბადა, სჩანს ის მეგრელი ყოფილა. ამ კითხვის შესახებ რამდენიმე ხნის წინათ დიდი კამამთი ასტყდა ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, მაგრამ ვერავითარ აზრს ვერ დაადგენ. ამგვარათ დღემდემდე ჩვენ არა გვაქვს ერთი მთლიანი გამოკვლევა აბაშელის აბაშაში დაბადების და მის მეგრულ შთამომავლობის შესახებ.

დიდი ხანი არ არის რაც აბაშელმა ლექსების წერა დაიწყო (სწერს ქართულად და არა მეგრულად), მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში 94 გვერდიანი ფართე წიგნი მოგვცა. როგორც ბ-ნი გომართელი მოგვითხრობს და თვით წიგნის შინაარსი გვეუბნება ის ფრიად მაღლა-მაღლა მიიწევს ცისქენ, ესმის ვარსკვლავთა ჩურჩული, სტკბება მზის სიცილით და მთვარის ნაზი ღიმილით, მას ვეღარ აკმაყოფილებს ცოდვილ დედამიწის უფერული ცხოვრება. ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენაა და ყოველი ქართველის გული სიამოვნებით უნდა აატოკოს. ბ-ნ ივ. გომართლის სიტყვით აბაშელს გადაუწყვეტია მზისკენ გამგზავრება რომ უფრო ახლო ინახულოს ის (როგორც ამბობენ ბ-ნ ქებურიას მიჰყავს თორმე) ჩვენ კი დანამდვილებით გავიგეთ, რომ ის ამ დღეებში პატარა ცემში გაემგზავრება და იქიდან მოსკოვს მიემგზავრება სწავლის შესაძენათ, რომ იქიდან დაბრუნებულმა მზე და მთვარეს თავი დაანებოს, დედამიწას უმღეროს და გაჰფინტოს „მწუხრის ბინდი“.

—ლი

მათრახის მკითხველებს.

დიდი ხანია მათრახი არ გატყლაშუნებულა აქავებულ ზურგებზედ და შეიძლება კიდევ ბევრი ხანი გავიდეს სანამ მას მძლავრად გავიქნევდეთ. ამის მიზეზები მრავალია და აქ ჩამოთვლას არ შეუდგებით, ხოლო უმთავრესი მიზეზები არის შემდეგი ოთხი: 1) რედაქტორი; 2) თანამშრომლები; 3) მკითხველები, და 4) დღევანდელი ბეჭდვის წესები.

პირველს იმაში მიუძღვის ბრალი, რომ ის არას მამოაჩვენობით არ კისრულობს ჟურნალის ყოველკვირეულათ გამოშობას და ავრე „გაიძახის: „მეყო რაც დროება ვატარე ვირის აბანაში. და ცხარე შრომით მოგებული ფულებიო! სულ ერთია, არავინ არ მიმადლის და მთელი ქვეყანა მტრათ გადავიკიდე!.. ის-და მაკლია ვინმემ კეტით დამხვდეს ქუჩაში და ლაზათიანად დამზორთოსო“. (ახი კია მაგ მშიშარაზე).

მეორეებს მხოლოდ ის ბრალდებათ, რომ იმათ გაფიცვა გამოაცხადეს! თუ უბრალო მუშები გაბედულათ მიდიან წინ, ჩვენ ხომ მოლას ვირები არა ვართო!.. თხოულობენ: კვირაში ორი საათის მუშაობას, ხელ-ფასის მომატებას, თეატრებში და ტრამვაიზე მუქთა ბილეთს, ზაფხულობით 3 თვით დაჩაზე წასვლას და სხვ. (მაგათაც უბოვნიათ რაღა ბუზეკა-კაპიტალისტი!).

მესამენი იმაში არიან დამნაშავენი, რომ ბოიკოტი გამოგვიცხადეს ამ ბოლო დროს და გაიძახიან: შორს ჩვენგან, სულაც არ გვინდა ჟურნალ-გაზეთები, ახლოს ჯარ მოგვეკაროვო! უშენოდაც კარგათ გავიცინებთ, ვიმხიარულებთ და ვინეტარებთ, ზოგი კარტით, ზოგი ნარდით და ზოგნი კიდევ დუშაკ კავარლებითაო!..

მეოთხემ ხომ სულ გაიტეხა იხტიბარი და პირდაპირ გვეუბნება: ხმა კრინტი არ დასძრათ, თორემ ენას მუცელში ჩაგიგდებთ და მუცელს კიდევ უჩასტკებში დაგიზელენ ჩვენი „მასაჟისტებიო“!..

ეჰ მეგობრებო! როგორც ხედავთ ცუდათ არის ჩვენი რედაქციის საქმე! ლამის არის მათრახი წაგვართვან მტრებმა და ჩვენივე მათრახით მაგრათ აგვიჭრელონ ზურგი ძველ მათრახოსნებს: აქნობამდე თუ თქვენის მათრახისაგან კუსუბოზედ .ათხელ გამოვიცვალეთ ტყავი, აწი შებრუნდით ყმაწვილებო, ჩადექით ფრონტშიო, —გვეუბნებიან სამათრახო პირები.

ეჰ, დროებავ! რა ცუდი ხარ,
როგორ ცელქობ, უკუღმართობ!
გუშინდელ გმირს დღეს მონად ხდი
და ლაჩარს კი—ალხენ, ართობ!

მაგრამ ხვალე ისევ შესცვლი—
მაგ შენს კანონს, მაგ შენს წესებს!..
ვინც დღეს მხიარულათ მღერის
მაშინ მწარედ დაიკვნესებს!

დიახ! უკაცრავად „გმირებო“! არც იგრე არის ჩვენი საქმე როგორც თქვენა გგონიათ!.. მათრახს თუმცა დროებითი ჩამოეცალა თავისი უმთავრესი ძალა, მაგრამ მას პატრონი კიდევ ჰყავს და სანამ ის თავის მხნე გამომცემელს უკავია ხელში, მას არავის დაუთმობს იგრე ადვილათ. ის იმდენს სიყოჩაღეს გამოიჩენს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც

გაიქნევს თავის მათრახს და როგორიც უნდა იყოს ეს გაქნევა, ის მაინც მიაღწევს თავის მიზანს, რომ მოაგონოს „ცნობილ საზოგადოებას“ ოდესღაც მათ ზურგზედ მირტყმული მძლავრი მათრახი.

ეს საჭიროა მათრახის არსებობისათვის, რათა მან ამ ცუდ დროში არ განუტევოს სული და მოესწრას უკეთესს, უფრო თავისუფალ დროს, რომ თავის თანამშრომლების მოთხოვნილება გამარჯვებით დაბოლოვებულიყოს.

მათრახის რედ.-გამომცემელი

თ. ბოლქვაძე.



მეურმის სიმღერა

—

მიდის ჭრიალით ურემი,
მიდის ის აღმართ გზაზედა,
და ოფლის სწმენდით მეურმე
მღერის სევდიან ხმაზედა:

—

„წინ გასწით, ჩემო ხარებო,
და ავატაროთ ქედია!
აღმართი, მეტად ცუდი გზა,
თუმც ეგ მეურმის ბედია,

—

მაგრამ ეს დაბრკოლებანი
ხომ წინსვლით დასაძლევია,
და ვაშა, ვისაც ამ გზაზე
უკან არ დაუხევია!

—

გასწით!.. ჩუ, ჭოტი აკვნესდა!
ბინდ-ბუნდმა გვისწრო ღამისა:
სევდის ისარი აიღო,
წინ ტბორე უდგას შხამისა,

—

ჩაუწო... ჩვენსკენ მომართა,
თქვენ დარდიც ნუ გაქვსთ ამისა:
ის ერთი ჩვენსკენ მოიწევს,
ჩვენში—ძალაა სამისა!

—

ჩვენ ურემს ერთად მივაწვეთ [illegible]
სხვისა არაფრის შიშ[illegible]
იტიროს, ვინც ბრძოლის ველზე
ცალკე სდგას განათიშია.

—

ჩვენ კი, ჩვენ რაზე ვიდარდოთ?
მტკიცეა ჩვენი ერთობა:
აწმყო თუმც გვიჭერს ჭახრაკებს,
გული იმედით ერთობა!

—

ოცნების თვალით გავხედოთ
მერმის ცხოვრების მდელოსა:
შვება-სიამე თან მოსდევს
ჩვენს შრომას, სასახელოსა!

—

მაშ, წინ! წინ „ჩვენო ურემო“,
და ავატაროთ ქედია!
აღმართი, მეტად ცუდი გზა,
თუმც ეგ მეურმის ბედია,

—

მაგრამ ტკბილ მომავალამდე
ამ წინსვლით მისაღწევია,
და ვაშა, ვისაც ამ გზაზე
უკან არ დაუხევია!..

ნ. ზომლეთელი.

გურული სცენა

მამა და ქალიშვილი.

— ჩემი ბაბაი, კაბის ყიდვა მინდა და ფარა მომე, ივანიკაის დუქანში გუშხამ მწვანე შალი გამოვარჩიე.

— ვაი ციცაის გამჩენს რა ვუთხრა? თლათ რამდენი გინდა ცავ?

— ოთხი მანათი.

— ალაბი რა ღირს?

— ალაბი ექვსი აბაზი.

— რავა, მერე სამი ალაბი გეყოფა?!

— იმიტომ მეყოფა, რომ ახალ-მოდის კაბას ვიკერავ!

— რა ქვია იმას სახელი?

— **რა ქვია და შანტეკლერი.**

ГБ373

— დედავ! რა ჯანდაბაა ცავ შანტლაკერი?

— შანტეკლერი ბაბავ იმას ქვია, თვითონ მედუქნე ივანიკაის ციცას რომ აცვია.

— ივანიკაის წიქორია ციცას რომ საჯაყათ შემოუკიმავს ტანზე და მოპრუწული, ცავ იგი არ შეიკერო, თავი არ მეიჯაყო. იმას, ბაბაი ნუ წამიწყდება, ფოტინა მალაზონის კუდიანი კაბა ჩეიცავა იგი ჯობია.

— ბაბავ ახალი მოდა იგია და სხვას ვერ შეეიკერავ.

— გაჩუმდი მეთქინ ცავ! მოდათ ეგება გაშიშვლებაც მევიდეს და შენ იმას აყობი?! რა მოდაა, ღმერთმა დააქციაო იმის მომგონი.

— კაი ბაბავ არ ვყიდულობ, ქე დავჯდები სახლში, არც ჯარში წავალ და არც საყდარზე.

— იმის ჩაცმას ნაკარი გადიყარო თავზე და ღვრიოლო იგი სჯობია, და ბატის წიწილებს მოუარო, ყვავმა არ წაგართვას.

— რავარც იმას არ მიყიდი ირც სახლში გავაკეთებ რამეს.

— ხო დაჯედი ამ ორშაბათ დღეს და აღიღინე იმ ბენძო გიტარაზე შენი სულიკო! იღიღინე და იღიღინე თუ სულიკო უსაქმოთ მოგივიდეს, უსაქმურასა და საგებსავით იმ კაბაში გამოხოულს არავინ წაგათრევს!

— იმას შენ არავინ არ გკითხავს. შენი საქმეა გრძელი ჩიბუხის ტარის ლულაში ჩაანერწყვე და ახიხინე ხრინწიანსავით.

— აი კიდევ სიავე სიავეზე! თფუი ახლანდელო დროვ! ახუნტრუცებული კი ხარ მარა, ენახავ თუ ვინმე წაგათრევს ცარიელს. შენი ვეზითის ფარა კი არა ბორჩიკი აღმასსჩნაი არ გამისტუმრებია და წუღაც ფეზზე არ მაცვია.

— მე, მე... ჩემს თავს ასე ჩავიძაღლებ? თავს მო...ვი...ლლავ...

— რა გატირებს ამიზა შენ გასარუმბავო! ჰა წეიღე ოთხი მანეთი, ამოგძვრა სული და არ მუაწეე შენ იმ დუქნიდან. შანტლაკერი კი არა შიშველი გერონ ახლანდელ ციცაებს, აა!? დედავ, ღმერთო სამას ოთხმოცდა ცხრაო წმინდა გიორგივ შენ ამუაგდე ივანიკაის ოჯახი, რაფერ გაათახსირა მის ციცაებმა ამ მუხურუოს ციცაები ვაი დედავ! კაცი ახლანდელ დროში გადურეველი არ დარჩება. გუშხამ საყდარზე ვიყავი, მევიხედე უკან, მარა რას მეიხედავ! გამოწკიპულიყვენ ჩვენი კუთხის ციცეები: ივანიკაის, გოგიეის, ვახუშტაის, მახარობელაის და დათიკაის! ისე მოჩანდენ ამ ეშმაკის კაბებში—ზოგი ბრეცანი, ზოგი დაბალი, ზოგი ქლეი და ზოზი სუქანი, რომ ახალ ნაზიარებ ბერი-ყაყუჩასაც შეუტრიალდებოდა ქორონიკონი. კაი ოთხმოცდა რვა წლის დაფხასულია სიკოიეი, ძარა ეს ციცეებს იმდენი უმზირა წირვაზე რო ქე არ დაავიწყა სული და ჯვარი, გამოწყობილი ღვდელი?! იმდენი უმზირა, რომ თავი ლანჩხუთის საპარასკეოზე ეგონა, სადაც ლამაზ გოგო-ბიჭების ხუნტრუცი აბრამია ურიასაც ავიწყებს თავის ფართალს და ალაბს. ეშმაკის დროია სხვაი რაღაი.

ქრონოსი.



როდის უნდა გაიხარო?!

მიწის მუშებს

იყო ზამთრის შავ-დღეები,
ცა ღრუბლებით დაბურული;
გუზგუზებდა ქარ-ბუქ თოვლი,
ზეციო რისხვათ გადმოსული.

ჯოჯოხეთად ქცეულ სოფელს,
თქვენ უვლიდით კანკალებდით,
ხან ტიტველი ტყეში ეგდეთ,
ბუჩქნარებს თავს აფარებდით.

მეც თქვენ გვერდით სვდით ვმღერდი,
ამხანაგო, ბედ დამწვარო!
როდის უნდა შეისვენო,
როდის უნდა გაიხარო?!

—

დრო იცვალა, ამ ჯოჯოხეთს
ზამთარს, კუბო დაემზადა;
გამოცოცხლდა არე-მარე,
საზეიმოთ მოემზადა.

ფრთა გაშლილი ცის ზეფირი,
დედა-მიწის გულს გაეკრა;
ვარდი ნახა გადაშლილი,
ჩაეკონა, გადაეკრა.

სხივს გვეფრქვევდა ცის კანდელი:
დღეი შზე და ღამით—მთვარე,
ბულბულის ჰანგს ყურს უგდებდა
მოხიბლული არე-მარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თქვენ-კი სად გეცალათ,
დამტკბადიყავთ ამო შვებით,
მძიმე შრომის მძიმე უღელს
თავს აბამდით თქვენის ნებით.
ამა დროსაც თქვენთან ვკნესდი,
ჩაგრულებო, ბედ დამწვარო!
როდის უნდა შეისვენო,
როდის უნდა გაიხარო!

—

ზაფხულია, ვითა ქურა
ალაპლაპდა, იწვის ბარი;
დატრიალებს მტვერის ბუღი,
ხესაც წვენს სწოვს კოღოს ჯარი!
ახმაურდენ უქმაძენი,
საჰაეროთ მიდის ყველა,
ოჯახობით აიშორონ—
მალარია, სიცხე, ხველა.
შენ კი რჩები აქ ჭაობში—
თოხნო, თხარო მთა და ბარი,
მტვრით იკვებო, ოფლად დადნე,
იფორხილო ცოცხალ-მკვდარი!
როს ჩამოვლენ მდიდრებთ ხროვა,
ლოყა ღაჟღაჟ, კისერ ბუღა,
აქ დახვდებით ვინც ზაფხულმა
ყვითლად გაჭკნო, მოგადუღა;
და ამ შრომით რაც შექმენით—
დაუღრენენ ძაღლივით პირს!
ურცხვათ ხელში ჩაიყრიან,
ვინ დაგიდევს თქვენს გასაჭირს?!
ზაფხულშიაც თქვენთან ვკვნესს, ვმღერ
სევდის ხმაზე ბედ დამწვარო,
როდის უნდა დასტკბე მუშავ,
როდის უნდა, გაიხარო?!.

შხანკოლა.

ორი ეშმაკი

პირ. ეშმაკი. (სტაცებს ხელს მეორეს, რომელიც ქუდ მოგლეჯილი სადღაც გარბის) ჰაა! სტოი! სტოი! ვერ წახვალ ვერა! (გააჩერებს).

მეორე ეშმაკი. (გაიწევს) გამიშვი ერთი თუ ღმერთი გწამს.

პირველ. (გულ მოსული) შე ოჯაქორო, თითქმის წელიწადია აღარ მინახიხარ და სალამსაც აღარ მაძლევ? სად გარბიხარ? „პაჟარი“ ხომ არ გაგრ ჩენია?

მეორე. რა დროს სალამია, ოხერო, როცა საზოგადო საქმე იღუპება. შენ მასლაათის გუნებაზე ხარ და ის კი გავიწყდება, რომ ყველა ჩვენგანს თავს გარდა საზოგადო საქმეც უნდა ახსოვდეს.

პირველი. აი ეშმაკმა წაგიღო შენ, ამ სიბერის დროს მოგინდა საზოგადო მოღვაწეთ გახდომა? (იცინის).

მეორე. (გულ მოსული) მეგობარო! სიცილის დრო არ არის, შენ თუ სიცილის გუნებაზე ხარ, შეგიძლია იცინო, მე კი გამიშვი.

პირველი. (ღიმილით) ერთი ეს მაინც გამაგებინე საით მირბიხარ?

მეორე. სადაც იქნება უნდა ვიპოვნო, ქვესკნელიდან უნდა ამოვაძვრინო ნიკო ელიავა.

პირველი. (გაოცებული) ბიჭოს! სწორეთ რომ

F5343

გასაოცარი ამბავია შენ და ნიკო ელიავა? რა გაქვს შენ მასთან საერთო?

მეორე. რაც მაქვს გაიგებ, თუ ვიპოვნე სადმე.

პირველი. არა, მაინც სთქვი რა საქმე გაქვს?

მეორე. უნდა ვსცემო. უნდა გული ვიჯერო, იმდენი უნდა ვსცემო რომ ფეხზე ვეღარ დგებოდეს.

პირველი.(ხარხარებს) ბიჭოს ეს რა ამბავიაკ-ეს რა მესმის? შე კაი კაცო, რა დაუშავებია ნიკო ელიავას რომ საცემათ გაიმეტე? სანამ აქ იყო, ჩემი ძმავ, არავისთვის არაფერი დაუშავებია თავის საქმეც კარგად მიჰყავდა და საზოგადოდ. ამა ერთი კლიენტი მითხარი, რომლის საქმე მას წაეგოს? ამას რომ თავი დავანებოთ ის რად ღირს, რომ სახალხო სახლთან ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე დაარსა?

მეორე. (მეტად ბრაზდება) ოოჰ! ნეტა ერთი მაჩვენა, რომ სულ გვერდები ჩავულეწო! სწორეთ მაგისთვის არის ის საცემი. განა მარტო დაარსება არის საქირო და სხვა არაფერი? დაარსა წრე და მიაგდო. განა ასე უნდოდა?

პირველი. მაშ რა ექნა, შე კაი კაცო, ხომ იცი რომ ის როსტოვის ქალაქის თავად აირჩიეს და ეხლა იქ არის, როგორ შეუძლია იქიდან წრესაც მოუაროს და როსტოვსაც.

მეორე, (მწუხარებით) ოჰ! მაშ ეხლა აქ არ არის! ვაი დედი ჩემის ღმერთსა, რომ ვეღარ ვიჯერებ გულს მისი ცემით,

პირველი. კიდევ ვერ გამიგია „რას ერჩი ამ ნიკო ელიავას?

მეორე. ხომ გაგიგონია „ცემა გმართებს გამზრდელისა თუ ყმა ნახო ავად ზრდილი“-ო იცი ეხლა რა ამბები ხდება ამ მის მიერ დაარსებულ „წრეში„?

პირველი. ერთი ღვთის გულისათვის გამაგებინე რა ამბავია? რა მოხდა?

მეორე. შენ ალბად სულ დაანებე თავი საზოგადო მოღვაწეობას, წრის კრებებზე არ დასწრებიხარ?

პირველი. არა. ერთი, თუ გიყვარდე, მიამბე ყველაფერი.

მეორე. რაღა გიამბო. ნეტა მომკვდარიყავი და ის არ მენახა, რაც ამ წრის სულის ჩამდგმელითა უბადრუკ ჩხუბს ვუყურე. ერთად ერთი სიამოვნება მხოლოდ იმით ვიგრძენ, რომ ხშირ-ხშირად ლამაზ-ლამაზ „ბარიშნებს“ გადავავლებდი თვალს. მთელი აივანი სავსე იყო უცხო ბარიშნებით, რომლებსაც მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ მუშის სიტყვაზე გულს ეყრებოდათ, თავი მაინც მაგრათ ეჭირათ და გმირულად იდგენ. აბ! მაგრით მადლობის ღირსია გამგეობა, რომ ადრევე გაითვალისწინა ჩემი უბადრუკი მდგომარეობა და უზომო მწუხარება შემომსუბუქა.

პირველი. მერე?

მეორე. მერე და ეს წრე, რომელმაც ასე სამაგალითოდ დაიწყო თავის საქმე, ეხლა ერთი ინტრიგების ვებერთელა ბუდეთ გარდაქცეულა. იქაური ლაპარაკი რომ მოგესმინა გულს შემოგეყრებოდა.

პირველი. როგორც ვიცი გამგეობაც ჩინებული იყო, რეჟისსორიც ჩინებული ჰყავდათ, საქმე კარგად მიდიოდა და რა ღმერთი გაუწყრათ?!

მეორე. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ რეჟისსორიც და გამგეობაც რაღაც ერთგვარ ავადმყოფობას შეთპყრია. როგორც მათი ცხარე კამათიდან გავიგე ყველანი კმაყოფილ და მოკლილ ხალხთა გემოვნების დაკმაყოფილების სურვილს გაუტაცნია და ნიკოს დაარსებული წრე სულ სხვანაირად გადაუკეთებიათ.

პირველი. კოწიამ რა ქნა?

მეორე. რა უნდა ექნა.

პირველი. ანდრომ რა ქნა?

მეორე. რა უნდა ექნა?

პირველი. ალ. წუნავას რაღა ღმერთი გაუწყრა? ლამის ცამდე ავიყვანეთ ქებით და ეხლა წახდა?

მეორე. სწორეთ ამ ქების ბრალია, რომ მის ტვინში დიდი ევოლიუცია მოხდა (ამას ნუ მიაწერ თეთრ ხელთათმანებს, მარცხენა ხელზე ჩამოკონწიალებულ ჯოხს და კლუბში ვახშმობას) ამას ზედ დაერთო ერთგვარი ავათმყოფობა „ტოროშელიზმი“ და „თავდიშვილიზმი“ და ლამის არის ჭკუაზე შეირყას. ისეთ რეჩებს ამბობდა კრებებზე, რომ იქაურობა დააქუხა.

პირველი. კაი რეჩები სთქვა?

მეორე. ჩინებული. თითქმის ჩახრახაზესაც-კი აჯობა.

პირველი. ეგ ჩახრახაძე ვიღა არის?

მეორე. ეჰე! შენ სადა ხარ? ჩახრახაძე თუ არ იცი, მაშ ვიღა იცი. ჯერ ერთი რეჟისსორის ფლიგელ ადიუტანტია და მეორე სახალხო სახლის სულის ჩამდგმელი, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ წარმოდგენების მართვაში.

პირველი. მერე რა მოხდა? რით გათავდა საქმე?

მეორე. იმით, რომ გადადგა გამგეობა, გადადგა წუწუნავა, გადადგა ჩახრახაძე, გადადგენ სცენის მოყვარენი და გადადგენ აივანზე მდგომი „ბარიშნებიც„.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი. ბიჭოს! მაშ ვიღა დარჩა?

მეორე. აირჩიეს ახალი გამგეობა, რეკისორიც ის უნდა იყოს და პიესებიც მათ უნდა ითამაშონ.

პირველი. წუწუნავა?

მეორე. წუწუნავას განაკოფოტას წერილი მიუღია, მიკადო იწვევს თავის თეატრში და იქ მიდის. ასე დაირღვა ნიკო ელიავას გაკეთებული საქმე. საცემი არ არის ეხლა ის?

პირველ. საცემიც არის და მეტიც წავიდეთ, როსტოვი არც ისე შორს არის, მეც შენთანა ვარ, ერთი რიგიანთ დავზილოთ. (მიდიან).

გაბრიელ.



იდუმალი ხმა...

(მიბაძვა)

მაძიებელი ლუკმა პურისა,
დაეხეტება არე-მარეში
და ფიქრობს: „ნეტა სად ვისაუზმებ“?
იდუმალი ხმა: „ცივს-სამარეში“.

—

მიდის და მიდის მგზავრი დაღლილი,
ქარიშხლით პყრობილს უცხო მხარეში
და ფიქრობს: „ნეტა სად მოვისვენებ“?..
იდუმალი ხმა: „ცივს-სამარეში“.

—

სატრფო დაეძებს თავის ღმერთასა,
უმეტესად-კი—ღამით, მთვარეში:
„სადა ხარ, ჩემო სიცოცხლის წყაროვ?“
იდუმალი ხმა: „ცივს-სამარეში“.

—

ბურჟუა მუდამ განცხრომაშია,
მუშა—ყოველთვის სიმწუხარეში!..
„სად სწორდებიან მდიდარ-ღარიბნი?
იდუმალი ხმა: „ცივს-სამარეში“.

ავარიელი.

ზ ღ ვ ა ს

ზღვაო, ზღვაო, რათ ხან წყნარათ!
რათ არ შფოთავ—არ ღრიალებ?
რომელ სევდას შეუპყრიხარ,
ზვირთებს რათ არ ატრიალებ?!

—

ზღვაო, მეც-კი ვიცი ფიქრი,
გულს მწვავს სევდა-კაეშანი;
ცხოვრებაში ბევრ უკუღმართ
გაკვეთილებს გივეცანი.

—

მე ცხოვრებამ ამაღელვა...
ზღვაო, შენაც ამღელვარდი,
ორივ ვავნებელი არის
უმოძრაო—ფიქრი, დარდი!..

ვ. აბრამიძე



გ ა მ ო ც ა ნ ა:

(გურიისათვის)

ის ვინ არის, რომ ბათუმში
ითარეშა მრავალსა წელს,
ქანქარსა რომ ბლომად ხვეტავდა
და მუქთად იღებდა მუცელს.
ჩინს და ტემლაკებს ეტრფოდა
თვით იყო კონსერვატორი,
ზნეობით აბსურდობაში
არავინ ჰყავდა მას სწორი.
გაზაფხულის თბილმა სიომ
როს დაჰბერა და დაჰქროლა,
ჩვენმა გმირმა ჩინ-ტემლაკი
სანაგვისკენ გადისროლა.
ქურქი მყისვე ტანთ იცვალა,
ივლტო მან და გაიპარა,
წუვდიადისა მოტრფიალემ
თავი სოროს შეაფარა.
რეაქციის სუსხის შემდეგ
იგი კვალად გამოცოცხლდა,
და ძველი ჩინ-ტემლაკებით
ისევ ხალხში გამოცოცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
F88
1913
ᲗᲐ48/1
3.40

როს ამ ქვეყნათ მან იხილა
ძველი კანონ, ადათ-წესი,
ბათუმელებს ის გაუხდა
მაძებართა უხუცესი.
როს ბათუმი მან გემოზე
გამოხარა და გამოჭამა,
ტანს ფარაჯა გადაიცვა
გახდა სულიერი მამა.
ქთმებს და ცხვრებს შეექცევა,
არ იხსენებს სროოთ ცოცვას,
ვინც მას იცნობს ის მიიღებს
მის კურთხევას და მის ლოცვას.

კ—ძე.

სოხუმის ამონაკვნესი.

—

ჩვენი უპრავა სამასწავლებლო ინსტიტუტის მაგვარად, (გარდა „გოროდოვოების ინსტიტუტისა“) ხსნის კიდევ სპირტის ზავოდს. ქალაქის ბიუჯეტის მოზრდილი ნაწილი ამ ორ „კულტურულ“ დაწესებულებას უნდა მოხმარდეს. „გოროდოვების ინსტიტუტს“ სახელმძღვანელოდ განჭრახულია მოიწვიონ ათი გახა ჩიქოვანი და ათიც ნაპრისთავალი როზენბერგი. სპირტის ზავოდის ხელმძღვანელად მოწვეულია ათი გრიშა კანდელაკი და ოცი ვალოდია შჩეგლოვსკი. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქის დუმას არავინ არ შესწამოს ნაციონალისტობა.

—

გუშინ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალ შენობაში, პავლე კალანდარიშვილმა ლექცია წაიკითხა, თუ როგორ ცარცვენ სოციალისტები მუშებს, ლექციის შემდეგ ლექტორს ავაცია გაუმართეს. გ. გვალიამ, მეტი სიხარულისგან ცრემლმორეულმა, ერთი მაგრათ ჩაბრიშტა ლექტორი. ამის შემდეგ პავლეს უპრავის „ჩლენობა“ სთხოვესო, მაგრამ ცივი ვარი უთქვამს, თავობა მინდაო“!

—

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების აქაური განყოფილება არ ჩამორჩა ცენტრს. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ ერთ წევრთაგანს, „ბოლოდროინდელ ეუ-ლიდან 450 მ. შეუქანქრია. გამგეობაში ეროვნულ იდეალის მატარებელნი—ეს ჩვენი ერის მარილნი ბატონობენ. ეპატიოსო, გაიძახოდენ საზოგადო კრებაზე, დიდი „ნაზრომიაო“.

შხამიანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

ერთ ასახსნელს მოგახსენებ
ჯურუყვეთლებს,—ორს რომ სჯობდეს,
ნახეთ კაცი, თავ-პირ გრძელი,
ბოსლესავით წვერი ქონდეს.
ნადიაკენი, ნახუცვარი,
დღეს კი პანღურ-მონაკრავი,
ენით მლიქვნელ-გაიძვერა
ბოროტი და საქმით ავი.
სხვათა შორის ერთი ვინმე
სასიძოთა აიჩემა,
მოინდომა გაეთალა
ვითომ ხერხიც დაიჩემა,
მაგრამ რომ ვერ მოატყუა
მას საქვეყნოთ უწყო კიცხვა...
ვინცა იცნობთ, გამოიცნობთ
ალარ გინდათ ჩემი კითხვა.

ჩხიკინაძე.

რედაქციისაგან.

ვაცხადებთ თანამშრომელთა საყურადღებოთ, რომ ჩვენს რედაქციას არავითარი საერთო არა აქვს იმ „მათრახთან“, რომელსაც აცხადებენ ბაზ. თემში, ამ მოკლე ხანში გამოვა ალმანახის სახით სორაპნის სტამბაშიო.

იყიდება გასული წლების იუმორისტული **ჟურნალები:**

1) **ეშმაკის მათრახი**—1908 წ. 34 ნომ. 2 მ. 50 კ.
2) **მათრახ-სალამური** 1909 „ „ „ 2—50 „
3) **ალმანახები** 1909 წ. 10 ნომერი — —50 „
3) **მათრახ-სალამური** 1910 წ. 33 ნომ. 2—50 „

ვისაც ყდით სურს, თითო წიგნს მიემატება ფასი თითო მანეთი. მსურველებს პროვინციებშიაც გაეგზავნებათ ჩვენის ხარჯით.

მისამართი: Тифлисъ, Типографія Шрома Теофилу Болквадзе.

ელექტრონის სტამბა „შრომა“, მუზრანის ქ. 12. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.